

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

10 აპრილი 2019 წელი
12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთა, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. სოფელ სალხინოში N15 ქუჩისათვის, ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე

2. სოფელ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მე-6 ქუჩისათვის და ამ ქუჩის შესახვევისა და ჩიხისათვის 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში დაღუპულ დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე

3. სხავდასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო სოფელ სალხინოში N15 ქუჩისათვის, ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა საკითხმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურები და შესაბამისად მომზადდა განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს განკარგულება სოფელ სალხინოში N15 ქუჩისათვის, ამავე ქუჩის შესახვევისა და ორი ჩიხისათვის შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

მოხსენეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო სოფელ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მე-6 ქუჩისათვის და ამ ქუჩის შესახვევისა და ჩიხისათვის 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში დაღუპულ დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქაც წარმოდგენილა საკითხმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურა და მომზადდა განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეორე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს განკარგულება სოფელ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მე-6 ქუჩისათვის და ამ ქუჩის შესახვევისა და ჩიხისათვის 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში დაღუპულ დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

სხვადასხვაში გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ინფორმაცია.

კომისიამ განიხილა გადაწყვეტა ,რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაიძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე